# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 245

„10" ივნისი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.037.017) პირდაპირი განკარგვის წესით გია იმნაძესთვის (პ/ნ. 01009002133) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.037.017) პირდაპირი განკარგვის წესით გია იმნაძესთვის (პ/ნ. 01009002133) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 18 მაისის №22.748.793 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.037.017) პირდაპირი განკარგვის წესით გია იმნაძესთვის (პ/ნ. 01009002133) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 240 (სამი ათას ორას ორმოცი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე